წერილის ნომერი: **03-0318033146**

თარიღი: **02.02.2018**

ადრესატი:
ელენე დუმბაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი) - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს
ელენე დუმბაძეს

ქალბატონო ელენე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2018 წლის 30 იანვარს, თბილისის მეტროპოლიტენის მეტროსადგურში ,,ვარკეთილი'' ავარიული შემთხვევით დამდგარ საგანგაშო ვითარებასა და ამ შემთხვევის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' გამოიყენა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის'' 55-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტით მონიჭებული უფლება და მოითხოვა რიგგარეშე სხდომის მოწვევა და უფლებამოსილი პირებისგან ანგარიშის მოსმენა. (N03-0318030188 წერილი).

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის'' 55-ე მუხლის მესამე ნაწილის, ასევე საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26 მუხლის მე-3 ნაწილის ნორმათა მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ არ შეასრულა მისი პირდაპირი თანამდებობრივი მოვალეობა და 2018 წლის 02 თებერვლის # 03-031803381 წერილით უარი განაცხადა მოთხოვნის წარდგენიდან (30 იანვარი 2018 წ.) ერთი კვირის ვადაში, კვალიფიციური სუბიექტის - ფრაქციის მოთხოვნის შესაბამისად საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე.

,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის'' 55-ე მუხლის მესამე ნაწილის, ასევე საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის ვალდებულების შეუსრულებლობა ვერ გახდება საკრებულოს შეკრების ხელისშემშლელი გარემოება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 31-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. გთხოვთ შეასრულოთ კანონმდებლობით თქვენთვის დაკისრებული მოვალეობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის'' 55-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ასევე საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად

უზრუნველყავით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინფორმირება, რომ 2018 წლის 6 თებერვალს 11 საათზე გაიმართება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, ასევე გთხოვთ მოახდინოთ საკრებულოს ოფიციალურ საიტზე აღნიშნული ინფორმაციის განთავსება და სხდომათა დარბაზის მომზადება საკრებულოს რიგგარეშე სხდომისთვის.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგია: 2018 წლის 30 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენის მეტროსადგურში ,,ვარკეთილი'' ავარიული შემთვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების განხილვა, საკითხზე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის'' გენერალური დირექტორის, სატრანსპორტო საკითხებზე კურატორი თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ანგარიშის მოსმენა.

გთხოვთ მოახდინოთ ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის'' გენერალური დირექტორის , კურატორი თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ინფორმირება აღნიშნული სხდომის თაობაზე და უზრუნველყავით მათი მოწვევა.

ასევე გთხოვთ შეატყობინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ვიწვევთ 2018 წლის 6 თებერვლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - ფრაქცია ,,ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა" - ფრაქციის
თავმჯდომარე

ირაკლი ნადირაძე